

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ  
ხელშეკრულება № 27

ქ. ბათუმი

29 ივლისი 2015 წ.

ხელშეკრულების ზოგადი პირობები

1. ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბათუმის სასაფლაოები“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ ზურკაძის სახით და

მეორეს მხრივ, შპს სამშენებლო კომპანია „მამისონი“ (შემდგომში „მიწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ავთანდილ ჩალაძის სახით,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის (SPA150015882) შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მოელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

2.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

2.4. „მიწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

2.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2.6. „სამუშაო“ - ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიწოდებლის მიერ SPA150015882 ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე (SPA150015882) დაბა ჩაქვში მდებარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ.ბათუმისათვის ახალი სასაფლაოს მოწყობის სამუშაოების (კლასიფიკატორის კოდი 452000000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვა.

4. ხელშეკრულების ფასი

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 3`399`000.00 (სამი მილიონ სამასოთხმოდცხრამეტი ათასი) ლარი.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

„შემსყიდველი“

„მიწოდებელი“



5. ხელშეკრულების შემადგენლობა:

- წინამდებარე ხელშეკრულებას ქმნიან და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ შემდეგი დოკუმენტები:
- ა) ხელშეკრულების ზოგადი პირობები;
- ბ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;
- გ) ხელშეკრულების ტექნიკური პირობები - დანართი №1;
- დ) ფასების ცხრილი - დანართი №2;
- დ) გეგმა-გრაფიკი - დანართი №8;
- ე) ნახაზები და სპეციფიკაციები;
- ვ) ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფაზე ს.ს „ბანკი რესპუბლიკას“ მიერ მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია #485290/09/კბ.

6. ხელშეკრულების სხვა ზოგადი პირობები

- 6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
- 6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში, ფორმითა და წესით.
- 6.3 სამუშაოები უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში (2017 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდი).
- 6.4 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით პერიოდი.

7. მხარეთა ხელმოწერები, იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
„ბათუმის სასაფლაოები“

შპს „მამისონი“

მის: ქ. ბათუმი. ლუკა ასათიანის ქ. №25  
ს/კ 445413516

მის: ქ. აბიღოსი, ვაჟა ფშაველას გამზირი #71,  
ოფისი  
ს/კ 205204250

ბანკის დასახელება: სახელმწიფო ბაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
ანგარიშის №GE921BO115156450246000

ბანკის დასახელება: ბანკი რესპუბლიკა  
ბანკის კოდი: REPLGE22  
ანგარიშის №GE08BR0100003605005998





# ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

## 1. ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, არასამუშაო (არავალდებულო) იურიდიული პირი „ბათუმის სასაფლაოები“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ ბურჯაძის სახით და

მეორეს მხრივ, შპს სასწენებლო კომპანია „მაისონი“ (შემდგომში „მიწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ავთანდილ ჩალაძის სახით,

## 2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში ჩითითებულ სტანდარტებს.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტრალი.

3.1 შემსყიდველი მისი წარმომადგენლის მეშვეობით ახდენს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას.

3.2 მიწოდებლის მიერ გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტრალი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატურად შემსყიდველის შეყიდვებისაგან.

3.3 მიწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელ პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

3.4 მიწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.5 შემსყიდველი ტექნიკური ზედამხედველით, მიწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი ყველა სასწენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს გაჩნია უფლება შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს ვანონით გათვალისწინებული სამქციები.

3.6 მიწოდებელი ვალდებულია სამუშაოების დროს გამოიყენოს მხოლოდ ის მასალები, რომელთა ხარისხი შეესაბამება საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს მიწოდებლის მიმართ პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

3.7 ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლს, შესრულებული სამუშაოების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მოდებინა-ჩაბარების მიზნით ფორმა 2-ის დადასტურებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს შემსყიდველის მიერ დაქირავებული ტექნიკური ზედამხედველი მურად ბოლქვაძე.

## 4. სამუშაოს შესრულების პირობები:

4.1 მიწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

4.2 მხარეები ყოველივეიურად განისაზღვრენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

4.3 სამუშაოების წარმოება უნდა განხორციელდეს მიწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ გეგმა-გრაფიკის (დანართი #8) მიხედვით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის პერიოდს.

„შემსყიდველი“

„მიწოდებელი“



4.4 სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ ზედამხედველსა და მიმწოდებელს შორის შესაძლებელია დაზუსტდეს სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი. სამუშაოების გეგმა-გრაფიკში შესული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულებაში დამატებით ცვლილებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადები გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოების დასრულების ვადის ცვლილებას.

#### 5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1 შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;

5.2 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;

5.3 უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა;

5.4 მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;

5.5 სამუშაოების დასრულების შემდეგ თავისი ძალებით და სახსრებით 10 დღის განმავლობაში გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა- დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ;

5.6 სახელშეკრულებო ობიექტზე აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ყურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა. ამ ყურნალში ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ. ყურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები;

5.7 მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

#### 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესრულებული სამუშაოს თაობაზე ტექნიკური ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი ფორმა 2-ის, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი), გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარება განხორციელდება სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდგომ ტექნიკური ზედამხედველის მიერ ხელმოწერილი ფორმა 2-ის, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) გაფორმებისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება გაწეული სამუშაოების ადგილზე.

6.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4 ხელშეკრულების მიმწოდებლის ბრალით შეწყვეტის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარებას არ ექვემდებარება სამუშაო, რომელიც განმეორებითაა შესასრულებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაგრძელების შემთხვევაში ან რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან/და საყოველთაოდ აღიარებულ ხარისხს (პირობებს). მტკიცების ტვირთი, რომ შესრულებული სამუშაო ექვემდებარება მიღება-ჩაბარებას, ეკისრება მიმწოდებელს.

6.5. შესყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენს ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ინსპექტირების ჯგუფი.

  
„შემსყიდველი“

  
„მიმწოდებელი“



7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

7.2 შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 20%-სა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უშუალოდ ბანკის მიერ გაცემული საავანსო საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას. (შპს სამშენებლო კომპანია „მამისონის“ კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში (თეთარი სია) რეგისტრაციის გამო არ გამოიყენება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული საავანსო ანგარიშსწორების 20%-ნი საბანკო გარანტიის სახე და მხარეები თანხმდებიან, რომ წინასწარი ანგარიშსწორებისათვის საკმარისია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი 10%-ნი საბანკო გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტიც).

7.3 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან ავანსის თანხის გამოქვითვა განხორციელდება 7.2 პუნქტში მითითებული პროცენტული მაჩვენებლის ორმაგი ოდენობით;

7.4 შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება (ანგარიშსწორება) მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად შემდეგი წესით:

7.4.1 შესრულებული სამუშაოების (თითოეული ეტაპის) ღირებულების 85 % - (საავანსო თანხის გამოქვითვის გათვალისწინებით) მიღება-ჩაბარების აქტის, გადახდის სერთიფიკატის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.4.2 შესრულებული სამუშაოების ღირებულების დარჩენილი 12.5 % - სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ, სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუკი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოხდება შესრულებული სამუშაოების ღირებულების კორექტირება, კორექტირებული მიღება-ჩაბარების აქტების, გადახდის სერთიფიკატების გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის კორექტირებიდან) 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

7.4.3 დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი ახდენს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულების 2.5%-ის დაკავებას. დაკავებული თანხის დაკავება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული თანხების პროპორციულად 2.5%-ის ოდენობით;

7.4.4 7.4.3 პუნქტის შესაბამისად დაკავებული თანხა მიმწოდებელს დაუბრუნდება სამუშაოების დასრულებიდან 2 (ორი) წლის (საგარანტიო პერიოდის ) შემდეგ, მას შემდეგ, რაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებს, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრილია მიმწოდებლის მიერ, ან დაკავებული თანხა მიმწოდებელს მიეცემა სამუშაოს მთლიანად დასრულების შემდეგ შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე. გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების საგარანტიო პერიოდს.

7.5 თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა გამარჯვებულ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ სამუშაოთა მოცულობების ღირებულების ანაზღაურებაზე;

  
„შემსყიდველი“

  
„მიმწოდებელი“



7.6 მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკი. შემსყიდველი უფლებამოსილია არ განახორცილოს ანაზღაურება ხელშეკრულების ყოველთვიური გადახდის სავარაუდო გრაფიკის წარმოდგენამდე.

7.7 2015 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება სამუშაოები თანხით 1 362 240 (ერთიმილიონსამასამოცდაორიათასორასორმოცი) ლარი, ასევე შესაძლებელია შემსყიდველის გადაწყვეტილებით 2015 წლის დაფინანსება შესრულებული სამუშაოს მიხედვით გაიზარდოს.

#### 8. ხელშეკრულების ვადა, გარანტია-დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი, ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 10 მარტის ჩათვლით პერიოდი.

8.2 შესრულებული სამუშაოების სავარანტო ვადა შეადგენს სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან: კაპიტალურ სამუშაოებზე 60 (სამოცი) თვეს, ხოლო დანარჩენ სამუშაოებზე 24 (ოცდაოთხი) თვეს;

8.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა გარანტირებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით. შპს სამშენებლო კომპანია „მამისონის“ კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში (თეთრი სია) რეგისტრაციის გამო არ გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 5 %-იანი საბანკო გარანტიის სახე და მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაფორმებისათვის საკმარისია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი 2,5%-ნი საბანკო გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტიც. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულებების უზარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება.

8.4 ს.ს „ბანკი რესპუბლიკას“ მიერ 2015 წლის 28 ივლისს მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია #485290/09/კბ ღირებულება შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 2,5%-ს.

8.5 ს.ს „ბანკი რესპუბლიკას“ მიერ 2015 წლის 28 ივლისს მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია #485290/09/კბ ღირებულება შეადგენს 84 975 ლარს.

8.6 ს.ს „ბანკი რესპუბლიკას“ მიერ 2015 წლის 28 ივლისს მიმწოდებელზე გაცემული საბანკო გარანტია #485290/09/კბ ძალაშია არაუგვიანეს 2017 წლის 31 მარტისა.

#### 9. ფასები

9.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების გაზრდა შესაძლებელია, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შემცირება დასაშვებია თუ სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაო არ არის შესრულებული სრული მოცულობით.

#### 10. პასუხისმგებლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“



## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.4 ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მხარეების მიერ ხელმოწერილი იქნეს ცალ-ცალკე და ხელშეკრულების მეორე მხარეს ხელმოსაწერად გაეგზავნოს ფოსტის მეშვეობით. ასეთ დროს შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ხოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან.

11.5 ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმება მხარეების მიერ შეიძლება ხელმოწერილი იქნეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ხელმოწერილი შეთანხმების ერთი პირი გაეგზავნოს ხელშეკრულების მეორე მხარეს. ასეთ დროს სავალდებულოა, რომ ხელშეკრულების თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ტექსტი იყოს იდენტური და იგი შედგენილი იყოს ორმხრივი შეთანხმებისათვის დადგენილი ფორმით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თითოეული მხარის მიერ ხელმოწერილი ტექსტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ ხელმოწერილი მხარის ხელმოწერის პუნქტს იურიდიული მისამართისა და საბანკო რეკვიზიტების მითითებით. ასეთ დროს შეთანხმებაში უნდა მიეთითოს თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის თარიღი და უნდა ითვალისწინებდეს ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის ან დამატებ(ებ)ის შეტანის თაობაზე შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღს, მაგრამ არაუადრეს შეთანხმებაზე პირველი ხელმოწერის შესრულების თარიღისა. აღნიშნული პირობების დარღვევის შემთხვევაში შეთანხმება ძალაში შედის მასზე ხოლო ხელმოწერის შესრულების დღიდან.

11.6 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით ხელშეკრულების ვადის (ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის) გაგრძელების საკითხის განხილვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების თანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა შესრულების მდგომარეობა. იმ შემთხვევაში თუ დადასტურდა, რომ ხელშეკრულების (ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის) საბოლოო ვადის დარღვევა განაპირობა ხელშეკრულების ტანდართული გრაფიკით დადგენილ ვადაში სამუშაოთა ბრალეულმა შეუსრულებლობამ, დაუშვებელია ხელშეკრულების (ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის) საბოლოო ვადის გაგრძელება.

## 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეყოვნების მეორე მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

12.3 ხელშეკრულების მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დარღვევა არ ჩაითვლება ბრალეულ დარღვევად, თუ აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით განსახორციელებელი ქმედება სავალდებულოდ საქიროებს რომელიმე

  
„შემსყიდველი“

  
„მომწოდებელი“



ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემას, მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო არ ახდენს აღნიშნულზე ხელშეკრულების მხარის მოთხოვნის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განხილვას ან უსაფუძვლოდ უარს ეტყვის ხელშეკრულების მხარეს ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე.

12.4 12.3 პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში განუხილველობა ან ხელშეკრულების მხარისათვის ნებართვის, ლიცენზიის ან თანხმობის გაცემაზე უარის უსაფუძვლო დადასტურებული უნდა იყოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს აქტით.

12.5 წინამდებარე პუნქტი არ მოიცავს ფორსმაჟორულ გარემოებებს და მათი რეგულირება ხდება სხვა პუნქტით.

### 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულება შეიძლება ვადადგე მოიშალოს:

13.1.1 მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით. დაუშვებელია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა შემსყიდველის თანხმობის გარეშე, გარდა ამ პუნქტის 13.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

13.1.2 მხარეთა მიერ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად ამ პუნქტის 13.13 და 13.14 პუნქტების შესაბამისად.

13.1.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):

13.1.3.1 მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისათვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში;

13.1.3.2 თუკი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;

13.1.3.3 მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოცხადების შემთხვევაში;

13.1.3.4 ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმწოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ დასრულებას;

13.1.3.5 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.1.3.6 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.3.7 თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

13.1.3.8 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.1.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად ვადადგე მოიშალოს (შეწყდეს):

13.1.4.1 თუ მიმწოდებლისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.1.4.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულება წყდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გამო.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების მოშლა (შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მიმწოდებლს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა (შეწყვეტა) დასტურდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

### 14. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი) და დაუძლეველი ძალის გარეშობა

14.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი და/ან დაგვიანებით შესრულების გამო გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცილებელი, დაუძლეველი ძალის

„შემსყიდველი“  


„მიმწოდებელი“  




ეგავლენით. რას ასევე არ გამოიწვევს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ პუნქტის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალის გარემოება“ ნიშნავს მხარეთა ნებისა და კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსა თავიდან აცილებაც შეუძლებელია მიუხედავად მხარეთა გონივრული მცდელობებისა და რომელთაც მიეკუთვნება, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:

- ა) ომი, სამხედრო მოქმედება, რევოლუცია, ბლოკადა, მობილიზაცია, ემბარგო;
- ბ) აჯანყება, რევოლუცია, სამხედრო ან უკანონო ქმედება და/ან სამოქალაქო ომი;
- გ) ამბოხი ან საზოტაუი;
- დ) საზოგადოების მტრების ან ტერორისტების მოქმედებები;

ე) სტიქიური უბედურებები (ქარიშხალი, ქარბორბალა, წყალდიდობა და სხვა), ეპიდემიები, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება;

ვ) სხვა გარემოებები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებულია ფორს-მაჟორულ გარემოებებად ან/და რომელიც ასეთად იქნება აღიარებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

14.3 დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან მხოლოდ იმ დროითა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემების მოგვარებისათვის. დაუძლეველი ძალის გარემოების გამო მხარემ, რომელზეც იმოქმედებს ასეთი გარემოება, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების შესახებ და მიაწოდოს ასეთი გარემოების დამამტკიცებელი სათანადო საბუთი და მისი ხანგრძლივობის სავარაუდო ვადა. ამასთან, ორივე მხარემ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა იმისათვის, რომ შეამცირონ მეორე მხარისადმი ზარალის ოდენობა, რომელიც გამოწვეულია დაუძლეველი ძალის გარემოებით.

14.4 თუ დაუძლეველი ძალის გარემოებები გაგრძელდა 2 (ორი) თვეზე მეტი ხნის ვადით, ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა (შეწყვეტა).

14.5 იმ შემთხვევაში, თუ დაუძლეველი ძალის გარემოებების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შეცვლაზე, მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გაგრძელებაზე. ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. ამასთან, ხელშეკრულების პირობების შეცვლა უნდა მოხდეს იმ დროითა და მოცულობით, რაც აუცილებელია დაუძლეველი ძალის სიტუაციით გამოწვეული პრობლემის მოგვარებისათვის.

14.6 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის არც ერთ შემთხვევაში ფორს-მაჟორულ გარემოებას არ წარმოადგენს მხარეთა ფინანსური ხიშტელები, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან ურთიერთობის გამო დამდგარი შედეგები და კლიმატური პირობები, გარდა სტიქიური უბედურებებისა, რამაც მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგურა ხელშეკრულების პირობების (ხარისხის) შესაბამისად შესრულებული სამუშაო ან შეუძლებელი გახდა მისი შესრულება.

## 15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რატა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დაე, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ორგელიც.

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

15.3 სადაო საკითხის განხილვის მოთხოვნით მიმართვა ხდება ა(ა)იპ „ბაიუმის სასაფლაოების“ ადილსამყოფლის მიხედვით არსებული სასამართლოსადმი.





16. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაცივდება მხარეთა შორის შესრულებდა მხოლოდ ქართულ ენაზე.

18. შეტყობინებები

18.1. შეტყობინების წესი:

შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 18.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. მხარისათვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან ახლდეს ნოტარიულად დადასტურებული თარგმანი.

18.2 შეტყობინების მისამართი და დრო:

შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში ან გაიგზავნოს ფსტის მეშვეობით და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისათვის იგი ჩაითვლება მიწოდებულად:

ა) ხელიდან ხელში გადაცემისას, როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე, უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

<p>შემსყიდველი: ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოები“</p> <p>მის. ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. 25</p>	<p>მიმწოდებელი: შპს „მამისონი“</p> <p>მის: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი #71, ოფისი</p>
--	---

ბ) კურიერული ფოსტა: თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში.

შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

19. სხვა პირობები

19.1 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება შეესაბამება მათ მიერ გამოვლენილ ნებას და ნების გამოვლენისას მათზე რაიმე სახის ძალდატანებას ადგილი არ ჰქონია. ასევე ადასტურებენ, რომ ისინი უფლებამოსილნი არიან ხელი მოაწერონ წინამდებარე ხელშეკრულება სწორედ აღნიშნული შინაარსით.

19.2 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად და ყოველი ეგზემპლარის თითოეული გვერდი დამოწმებულია ა(ა)იპ „ბათუმის სასაფლაოების“ ბეჭდით. თითოეულ ეგზემპლარს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

19.3 სხვა საკითხები, რომლებიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, წესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით.

„შემსყიდველი“



„მიმწოდებელი“





### ტექნიკური პირობები

შესყიდვის ობიექტი: დაბა ჩაქვი მდებარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ.ათოშისათვის ახალი სასაფლაოს მოწყობა

დეტალური შესყიდვის ობიექტის სამუშაოები მოცემულია თანდართული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად.

#### გამოყენებული მასალები:

ყველა გამოყენებული მასალა უნდა იყოს მაღალხარისხიანი და აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. მასალების გამოყენება ობიექტზე მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფთან შეთანხმებით (ზეპირი ან/და წერილობით) ბრძანებით გათვალისწინებული ჯგუფის მიერ მასალის დაწესების შემთხვევაში წუნდებული მასალის გამოყენება დაუშვებელია.

#### სამუშაოთა შესრულების წესი:

- ა) სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით;
- ბ) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს ყარული სამუშაოების აქტები იმ სამუშაოებზე, რომელზეც საჭიროა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოება;
- გ) შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამშენებლო ტექნიკური დოკუმენტაცია. სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსყიდველს უნდა წარუდგინოს პროექტის შესრულების შესახებ საერთო ანგარიში, სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოფის სამუშაო ადგილის შემოფარგვლა და დამკვეთი გამაფრთხილებელი თვალისამჩინოების და ბუქნიშების დაყენება;
- დ) მშენებლობის დროს აუცილებელია CHH-ებით ხელმძღვანელობა. შესრულება და დაცვა მათი მოთხოვნების შრომის დაცვასა და უსაფრთხოების ტექნიკაში მიამუშავნი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ინდივიდუალურად დაცვის საშუალებებით და ასევე უნდა სრულდებოდეს საერთო კოლექტიური დაცვის ღონისძიებებზე. აუცილებელია უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო საინტარიის და ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობიდი წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების დაცვა.
- ე) მიიბე ზალასტის შემოზადვა შემსრულებელმა უნდა განხორციელოს შემსყიდველის ორგანიზაციის თანდასწრებით ამ თავით და ხელშეკრულების პირობებით.

#### სამუშაო ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა:

- ა) მოწოდებული პასუხისმგებელია;
- ბ) შესრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;
- გ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;
- დ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში მდებარე ხეების და მცენარეების სიციცხლისუნარიანობა;
- ე) მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოებთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენა გარემოზე;
- ვ) ყველა სახის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყება შეთანხმებული უნდა იყოს ასპიზ ბათუმის სასაფლაოების ხელმძღვანელის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ჯგუფთან;
- გ) სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი თავისი ძალეებით და ხაზსრებით 10 დღის განმავლობაში ვალდებულია გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან და ა.შ.




სამუშაოთა წარმოების ჟურნალი:

ა) სახელმძღვანელო ობიექტზე შესრულებულმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მიცულობას, შესრულებული პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალებს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაფისპროცედურებს და სხვა ამ ჟურნალში ტექნიკურად სისტემატიურად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ. ჟურნალში ჩაიწერება გ-ხ საკუთარებელი დავალებები, აღმოჩენილი დეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები;

ბ) მიმწოდებელს უნდა აწარმოოს ყველა სამუშაოებელი ტექნიკური დოკუმენტი-ტაფა, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი საშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ნორმატიული დოკუმენტები:

ა) მუშაობის პროცესში შესრულებული ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს მოქმედი სტანდარტების მიხედვით.

პროცედენტის ხელმოწერა 



შოკალდო-რესტრუქციული სამუშაოები №14  
 დანა ჩატეში შედგენარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. მათუშისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად საქართველოს  
 ტერიტორიის განვითარების, სტრუქტურული და სოციალური კვლევების მიწოდება  
 სამუშაოების საიჯარეო

№	სამუშაოს დასახელება	განმარტების ერთეული	რაოდენობა	სახარჯთაღრიცხველი ჯამებული	
				შენიშნული ფასები კვ.მ	ჯამი
1	2	3	4	5	6
<b>I. ტერიტორიის განვითარება და სტრუქტურული</b>					
1	ტერიტორიის განვითარება მარჯვენა ხეობისა და სხვა გარეშე ნაგებობებისა	1000 კვ.მ	1.40	2000.00	2800.00
2	შესანიშნავი კატეგორიის გზების დასრულება რეაბილიტაციის დასაბრუნებლად კვლევითი გეგმის მიხედვით	1000 კვ.მ	6.15	850.00	5227.50
3	მშენებლობის შემოსულობის ამონახაზებით სკმ მონიტორინგის	კ	43356.87	3.41	147846.23
4	მოხიდველი და სტრუქტურული არსებული ნაგებობების და სამშენებლო ნაგებობების დასრულება რეაბილიტაციის და გადართობის 300 კვ.მ-ზე მონიტორინგის პროექტის მიხედვით და დატყვება	3000 კვ.მ	36.51	2100.00	75665.91
5	III კატ. გზების დასრულება რეაბილიტაციის და გადართობის 300 კვ.მ-ზე მონიტორინგის ტერიტორიის დასაბრუნებლად	3000 კვ.მ	216.72	2100.00	455112.00
<b>II. საერთო კვლევების მოწყობა</b>					
1	შესანიშნავი კატეგორიის გზების დასრულება ახრისა და 0,65კმ საზღვრის მონიტორინგის კვლევითი გეგმის მიხედვით	3000 კვ.მ	0.64	1200.00	766.40
2	შესანიშნავი კატეგორიის გზების დასრულება კვლევითი ნაგებობების განვითარებით გეგმის მიხედვით საერთო კვლევის მოსაწყობად	100 კვ.მ	0.83	4500.00	154.44
3	III კატეგორიის გზების დასრულება ხეობის	100 კვ.მ	0.64	250.00	159.25
4	ბაღისა და სასაფლაოს ტერიტორიის დატყვებით	კმ	98.28	15.50	1523.34
5	საბრუნავი სკმ III სისხლის B15 კლასის ბეტონის ფენის მოწყობა	100 კვ.მ	0.33	9740.00	3190.82
6	ტერიტორიის მონიტორინგის საბრუნავი და საერთო კვლევის მოწყობა B25 კლასის ბეტონით	100 კვ.მ	2.71	21928.00	58519.87
7	კვლევის მონიტორინგისა და შენობის მონიტორინგის	კვ	1302.00	2.00	2604.00
8	300 მმ-იანი შიდა დამბურის შიდა მონიტორინგის მოწყობა	1 კმ	0.06	5500.00	337.59
9	სახლიდან ახლის ფენის მოწყობა დატყვებით	კვ	57.80	16.00	892.95
10	ქვის ფენის მოწყობა (საბრუნავი ახალი კლასი 150მმ იქონი)	კვ	74.49	15.00	1136.00
11	მსხვილკვანძოვანი კლასის ფენის მოწყობა დატყვებით	კვ	74.49	28.00	2083.20
12	მსხვილკვანძოვანი კლასის ფენის მოწყობა დატყვებით	კვ	89.28	32.00	2856.96
13	გზების რეაბილიტაცია, დატყვება და ხეობის გზების მონიტორინგის მოწყობა ადგილობრივ	100 კვ.მ	6.37	375.00	2388.75
	ფორმული უწყობის დანი	ფარი			764243.06
	საბრუნავი საბრუნავი —	ფარი	0.07		53497.01
	ფარი	ფარი			817749.08
	საბრუნავი საბრუნავი —	ფარი	0.05		46887.00
	ჯამი	ფარი			858627.08

შოკალდო-რესტრუქციული სამუშაოები №21  
 დანა ჩატეში შედგენარე 177 073 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქ. მათუშისათვის ახალი სასაფლაოს მოსაწყობად საქართველოს  
 ტერიტორიის განვითარების, სტრუქტურული და სოციალური კვლევების მიწოდება  
 სამუშაოების საიჯარეო

*Handwritten signature*



№	სამშენობის დასახელება	სამშენობის ერთელები	ცალკეობა	სახარჯთაღრიცხვო დაზღვევები	
				საბაზო საშენობის ცალკეობა	აშკ
1	2	3	4	5	6
1 სამშენობლო სამუშაოები					
1	III კატეგორიის გზის ნაპირის დამუშავება ქუბურში ექსპლუატაციის, ხაზის ტვივობით 0,5 კუბმ გვირგვინზე დაფრით	1000 კუბმ	0,25	950,00	233,69
2	სამშენობლების ქვეშ უღობი (ბაღის) მოწყობა ქუბურში სადაც მოყვანილია ნარეული და უბრალოდ სატყეველი დატყევა ფენა-ფენა	1000 კუბმ	0,02	16750,00	371,60
3	სამშენობლების ქვეშ ბეტონის მოშენების მოწყობა კლასით 15	100 კუბმ	0,1920	9740,00	1870,08
4	სამშენობლო რკინბეტონის სამშენობლების მოწყობა	100 კუბმ	0,1440	26000,00	2880,00
5	სამშენობლო რკინბეტონის კონკრეტის მოწყობა	100 კუბმ	0,0420	26000,00	840,00
6	სამშენობლო რკინბეტონის სამშენობლების და რკინბეტონის მოწყობა -0,65 ნიშნულზე	100 კუბმ	0,2448	20900,00	4896,00
7	სამშენობლო რკინბეტონის სამშენობლების და რკინბეტონის მოწყობა 3,3 ნიშნულზე	100 კუბმ	0,0918	20000,00	1836,00
8	სამშენობლო რკინბეტონის სამშენობლების და რკინბეტონის მოწყობა 6,5 ნიშნულზე	100 კუბმ	0,0648	20000,00	1296,00
9	ექსპლუატაციის გზის ნაპირის უკუშენება და უბრალოდ კლასით დატყევა ქუბურის ფრთხილად და I საბუნების დაცვის ქვეშ ხეხარის გზის ტერიტორიაზე მოწყობის.	1000 კუბმ	0,25	950,00	233,69
10	სამშენობლო რკინბეტონის კონკრეტის მოწყობა კლასით 20	100 კუბმ	0,32440	26000,00	7488,00
11	სამშენობლო რკინბეტონის ხელფარების მოწყობა	100 კუბმ	0,00585	30000,00	117,00
12	სამშენობლო რკინბეტონის კონკრეტის ხელფარების მოწყობა კლასით 20	100 კუბმ	0,24720	20000,00	4944,00
13	სამშენობლო რკინბეტონის კონკრეტის ხელფარების გადახურების ფენის მოწყობა კლასით 20	100 კუბმ	0,41200	20000,00	8240,00
14	სამშენობლო რკინბეტონის კონკრეტის ხელფარების გადახურების ფენის მოწყობა კლასით 20	100 კუბმ	0,28800	20000,00	5760,00
15	სამშენობლების საფარი-სამშენობლო ნივთიერების მასალა	100 კუბმ	1,06	200,00	212,00
16	დატყევაზე ცემენტის მშენობის მოწყობა სისქით 35 მ	100 კუბმ	3,50	550,00	1925,00
